ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს

ამხანაგობა "ჭავჭავაძე 2001"
მის. ქ. თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33
თავჯდომარის ირაკლი გუჯაბიძის

14.07.2014

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი გადაწყვეტილება №1382490–დან, 2014 წლის 9 ივლისს № AR1235977 ელექტრონული განცხადების საფუძველზე სამსახურს მომართა მოქ. გ. ხმალაძემ, ქ. თბილისში ილია ჭავჭავაძის გამზ.№29–31–33, (ნაკვ. 004/023)–ში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს საქმის ადმინისტრაციული წარმოება.

მოვითხოვთ, აუცილებლად ჩაგვრთოთ ამ პროცესში, რადგან აღნიშნული ნაკვეთი ესაზღვრება ჩვენს საცხოვრებელ სახლს და დიდ პრობლემებს გვიქმნის.

შეგახსენებთ, რომ წინა პროექტი დარღვევების გამო გააუქმა მერიის იურიდიულმა სამსახურმა. ასევე გაცნობებთ, სასამართლოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა, რომ გაზის მილი შ.პ.ს. მოყვასის ნაკვეთიდან უკანონოდ იქნა გადმოტანილი ჩვენს ტერიტორიაზე.

მოვითხოვთ ნებისმიერ განხილვაზე, რომელიც გაიმართება ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოიწვიოთ ჩვენი მხარის წარმომადგენლები და არ იქნას არანაირი გადაწყვეტილება მიღებული ჩვენთან შეთანხმების გარეშე.

პატივისცემით

ამხანაგობა "ჭავჭავაძე 2001" თავჯდომარე

ირაკლი გუჯაბიძე